გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 7

2021 წლის 08 იანვარი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2020 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2020 წლის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2020 წლის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის)

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო გორის მუნიციპალიტეტი GEORGIA GORI MUNICIPALITY * 218086087 *

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს 2020 წლის ფინანსური ანგარიში

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

1. შ.ჩოჩიშვილის სახ. კომპლექსური სპორტული სკოლა
2. გ.პაპიტაშვილის სახ. ჭიდაობის კომპლექსური სკოლა
3. ნუგზარ სხირელის სახ. თავისუფალი ჭიდაობის სკოლა
4. ავთანდილ შოშიაშვილის სახ. კრივის სპეციალიზებული სკოლა
5. გიორგი კანდელაკის სახ.ვარიანის კრივის სკოლა
6. ექსტრემალური სპორტის განყოფილება
7. სააგენტოს ძიუდოს კლუბი,, გოლდენ გორი"

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის საგენტოში დასაქმებულია 22 შტატიანი და 248 შტატგარეშე თანამშრომელი.

სააგენტოს 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 1943000 ლარს. კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 267000 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1237250 ლარით, მივლინება 13000 ლარით, ოფისის ხარჯი 171934 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 23000 ლარით, სამედიცინო ხარჯი 6740 ლარით, კვების ხარჯი 4900 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 18566 ლარით, ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი 44756 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 20000 ლარით, სოციალური უზრუნველყოფა-2000 ლარით, სხვა ხარჯი (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება)87494 ლარით, არაფინანსური აქტივები 45820ლარით.

მიმდინარე წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 1567314 ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე შეადგინა 244750 ლარი, შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე 1131071 ლარი, მივლინებებზე 5260 ლარი (მივლინება ქვეყნის შიგნით 5230 ლარი, მივლინება ქვეყნის გარეთ 30 ლარი), ოფისის ხარჯები შეადგენს 100114 ლარს, წარმომადგენლობითი ხარჯი 144 ლარს, კვების ხარჯი 4860 ლარს, სამედიცინო ხარჯი 5774 ლარს, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი-200 ლარს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი 35577 ლარს, სხვა(სპორტული ღონისძიების) ხარჯი-33073ლარს, არაფინანსური აქტივები 6400 ლარს (შეძენილია: წყლის საცირკულაციო ტუმბო, შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების პროექტი).

	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის შესრულება21.12.20
1	სულ ბიუჯეტით (2+18+19)	1943000	1567314
2	ხარჯები(3+4+14+15+16+17)	1897180	1560914
3	შრომის ანაზღაურება	267000	244750
	ხელფასი	267000	244750
	პრემია		
4	საქონელი და მომსახურება	1540146	1283000
5	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1237250	1131071
6	მივლინებები	13000	5260
7	ოფისის ხარჯები	171934	100114
8	წარმომადგენლობითი ხარჯები	23000	144
9	*კვების ხარჯები*	4900	4860
10	*სამედიცინო ხარჯები*	6740	5774
11	*რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები*	18566	200
12	*ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები*	44756	35577
	საწვავი	26756	21788
	შეკეთების ხარჯი	9000	7825
	ექსპლუატაცია, მოვლა-შენახვის ხარჯი ხარჯი	7000	5563
	ტრანსპორტის დაქირავება(გადაზიდნა-გადაყვანის ხარჯი)	2000	400
13	*სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება*	20000	
14	პროცენტი		
15	სუბსიდიები		
16	სოციალური უზრუნველყოფა	2000	
17	სხვა ხარჯები	88034	33163
	მოსაკრებლები	540	90
	სხვა ხარჯები(სპორტული ღონისძიების)	87494	33073
18	არაფინანსური აქტივები (კაპიტალური ხარჯი)	45820	6400

19	ვალდებულებების კლება		

სააგენტოში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში მოქმედ სპორტულ სექციებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური და სერთიფიცირებული მწვრთნელები.

გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოსთვის ისევე, როგორც ქართულ და მთელი მსოფლიოს სპორტისთვის 2020 წელი კოვიდ-19 პანდემიის გამო არ ყოფილა სრულყოფილი.

გორმა ამ მიზეზით ვერ უმასპინძლა არაერთ ტრადიციულ ტურნირს სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომელიც მრავალ წელის განმავლობაში იმართებოდა ჩვენს ქვეყანაში. ამასთან სპორტის ათამდე სახეობაში მოასპარეზე საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებებსა და ეროვნული ნაკრების გორელმა წევრებმა ვერ იასპარეზეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე, რადგან ყველა მათგანი ან გადაიდო, ან უბრალოდ არ ჩატარდება.

გარკვეული აქტიურობა 2020 წლის იანვარსა და თებერვალში იყო შესამჩნევი. ზაფხულში ქვეყნის ფედერაციათა ორგანიზებით იმართებოდა ეროვნული ნაკრების შეკრებები. შემოდგომით ჩატარდა ევროპის ჩემპიონატები ახალგაზრდებს შორის, 23 წლამდელებში და დიდებში.

სააგენტოს შემადგენლობაში შემავალი სასპორტო სკოლების წარმომადგენელმა სპორტსმენებმა აღნიშნულ შეჯიბრებებზე შემდეგი შედეგები დააფიქსირეს.

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი დიდებში 1 ვერცხლი,2 ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატი 23 წლადელებში1ოქრო,1 ვერცხლი

ევროპის თასი კადეტებში 2 ოქრო,1 ვერცხლი

საქართველოს ჩემპიონატი გოგონათა შორის 1ოქრო,1 ვერცხლი,3 ბრინჯაო

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის 1ოქრო,,3 ბრინჯაო

საქართველოს ჩემპიონატი უმცროს ჭაბუკებში1ოქრო,3 ბრინჯაო

კრივი

საქართველოს ჩემპიონატი(ჭაბუკები)1ოქრო,1 ბრინჯაო

თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი დიდებში 1 ოქრო

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში 1ოქრო,1 ვერცხლი,4 ბრინჯაო

საქსაქართველოს ჩემპიონატი უმცროს ჭაბუკებში 3ოქრო,3 ვერცხლი,4 ბრინჯაო

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში 1ვერცხლი,4 ბრინჯაო

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში სენიორები 1ოქრო

მძლეოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი ბირთვის კვრაში 2 ოქრო

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი ქვიშის ხელბურთში ვერცხლის მედალი.